# იმერეთი

№ 140 — ყოველდღიური გაზეთი — წელიწადი მესამე 1914 — № 140

ფასი: წლიურათ 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურათ 3 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ [illegible] 15 მან., ნახევარი წლით 8 მან [illegible] აბაზი.
განცხადების ფასი: [illegible] სტრიქონი პირველ გვერდზე [illegible] 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. [illegible] კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი [illegible] . 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე ერთი-ჯერ საღამოს 2 საათამდე ღირს 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მანათი.

ხუთშაბათი 28 აგვ[illegible]

მისამართი: ქუთაისი, რედ[illegible]
„იმერეთი"
თფილისის ქუჩა, ფორაქოვის თამბაქოს ქარხნის პირდაპირ შესახვევში, სახლი [illegible].
ტელეფონი № 4.



ეროვნული ბიბლიოთეკა


შაბათს, ოცდა ათს აგვისტოს, ახალქალის (ლეჩხუმის მაზრა) საგვარეულო ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი

### კნეინა ეკატერინე გელოვანის

სულის მოსახსენებლათ, რასაც ღრმა მწუხარებაში მყოფნი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ: მეუღლე მისი, თავადი გიორგი ალმასხანის ძე; შვილები: ექიმი ასლან, ინჟინერი ვიკტორი, ალექსანდრე და ჯიუ; რძლები: კნ. სარა, ანა და პასიკო გელოვანები; ასულნი: კნ. ელენტი ჩიჩუასი და დოსია ჩიქოვანისა; სიძეები: თ-დ ალექსანდრე ჩიჩუა და რამინ ჩიქოვანი.

---

ხუთშაბათს, 28 ამა აგვისტოს, ორმოცი დღის თავზედ მთავარანგელოზის ეკლესიაში 11 საათზე გარდახდილ იქნება პანაშვიდი ქართული გიმნაზიის მერვე კლასის უდროოდ გარდაცვლილი მოწაფის

### გიორგი გუგულა სამსონის ძის ქორქოლაძის

სულის მოსახსენებლად

---

## უ დ ი დ ე ს ი

**სპეციალური წიგნის მაღაზია და წიგნის საწყობი**

**ქ. ქ უ თ ა ი ს შ ი**

### კონსტანტინე ივანეს ძის ოცხელისა და ამხ.

დამზადებულია დიდ-ძალი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნები საშუალო და დაბალ სასწავლებელთათვის. პროვინციის წიგნის მაღაზიებსა, სახალხო შკოლებსა, ბიბლიოთეკებსა და სამკითხველოებს შარშანდელივით ეთმობათ წიგნები მეტად სალავათიან პირობებში.

წიგნის მაღაზიას გახსნილი აქვს საკუთარი საკაზმავი სახელოსნო. ამის გამო მას ეძლევა საშუალება, რომ ზოგიერთი წიგნის ყდა დაუთმოს ჩვეულებრივ ფასზე უფრო ნაკლებ.

წიგნის მაღაზიის გვერდით გამართულია სპეციალური საკანცელარიო მაღაზია **დ. ი. ოცხელისა,** რომელსაც მიღებული აქვს საქონელი პირდაპირ რუსეთისა და საზღვარგარეთის გამოჩენილ ფირმებისგან და ამიტომ ყოველგვარი სასწავლო და საკანცელარიო ნივთი ამ მაღაზიაში იყიდება **ძ ლ ი ე რ ი ა ფ ა თ.** აქვე გახსნილია რვეულების საკეთებელი საკუთარი სახელოსნო, რის გამოც მაღაზიას შეუძლია რვეულები იქონიოს უკლებლივ და გაყიდოს ზომიერ ფასათ.

**კ. ოცხელის წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემები:**

1. ყუბანეიშვილი. პირველ დაწყებითი დარიგება სალვთო სჯულის სწავლებაზე . . . . . ფასი 6 შაური.
2. ქვარიანი. საქართველოს მოკლე ისტორია . „ 2 აბაზი.
3. ნიკოლაიშვილი. მოკლე ქართული გრამატიკა . „ 1 „
4. არითმეტიკული კრებული, შედგ. ქუთ. სააზნ. შკოლის მასწ. ჯგუფის მიერ სურათებით . . . „ 7 შაური.
5. „ცხოვრება და მეცნიერება". (ახალგაზდა ქართველ მეცნიერთა და სტუდენტთა ნაწარმ. კრებული) . „ 1 მან.
6. უზნაძე. მაჰმადი . . . . . . . „ 3 შაური.
7. მისივე. ისლამი. . . , . . . . „ 3 „
8. მოძრავი ანბანი . . . . . . . „ 2 „
9. იგივე კარდონზე . . . . . . „ 6 „

აქვე საწყობშია შემდეგი გამოცემანი, რომელთაც მაღაზია ყიდის იმავე დათმობით, როგორც საკუთარს გამოცემას:

1. „გუთანი". ქართული სახელმძღვანელო . . ფ. 17 შაურ.
2. ხუნდაძე. გრამატიკა . . . . . „ 3 აბაზი.
3. მისივე მოკლე გრამატიკა . . . . . „ 1 „
4. ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა . . . „ 10 შ.
5. მღ. ა. გერსამია. ლოცვანი . . . . . „ 2 „.
6. ალ. ქიქინაძე. გეოგრაფია . . . . . „ 3 აბ.
7. დათეშიძე. ქართული წერის დედანი. . . „ 5 შ.
8. ფ. ქორიძის მიერ გადაღებული საგალობლების ნოტები სხვადასხვა ფასისა.
9. კ. აბაშიძე. ეტიუდები მე-19 საუკ. ქართული ლიტერ. 2 ნაწილი. თითო ნაწილი . . . . „ 14 შ.
10. ალ. ხახანაშვილი. ბატონყმობა საქართველოში. „ 10 „
11. შექსპირი. გადმოღებული ყმაწვილთათვის ს. ყიფიანის მიერ . . . . . . . . „ 1 აბ.

იბეჭდება ახალი გამოცემები: შიო მღვიმელის ლექსთა კრებული, გ. იოსელიანის მიერ ყრმათათვის გადმოღებული „ვეფხის ტყაოსანი", ალ. ჯ—ძის ეროვნული შემოქმედება, ქართული ანბანი, შედგ. „გუთნის" ავტორების მიერ. ახალი რუსული ენის სახელმძღვანელო. გ. წერეთლის მამიდა ასმათი და რუხი მგელი, სამაგალითო სამზარეულო და სხვა.

---

## მიხეილის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის

**გამგეობა** ქუთაისს, წინაადმდეგ გავრცელებული ხმებისა **აუწყებს ბანკის მსესხებლებს,** რომ, თუ ხვედრი გადასახადი არ იქნა შემოტანილი დანიშნულ ვადაზე, **დაგირავებული მამულები,** თანახმად ბანკის წესდების მუხლებისა დ მიუხედავათ თანამედროვე მდგომარეობისა,

**საჯარო ვაჭრობით გაყიდული იქნება.**

---

**ქუთაისი. დაიბეჭდა და იყიდება**

თ. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიაში

შემდეგი ახალი საკუთარი გამოცემები:

„მამულის სიყვარული და მსახურება"—ნ. ნიკოლაძისა ფ. 1 აბაზი
„ხუცური ანბანი" დ. კარიჭაშვილისა . . . ფ. 1 აბაზი
„ლოცვანი" მღვდ. პლ. ცქიტიშვილისა 2 შაური (ყდით 3 შაური)
„შაქარას ნაამბობი"—ს. ყიფიანის . . . 3 კაპ.
„ქართული მოძრავი ანბანი" . . 2 შაური (კარდონზე 10 შაური)

იბეჭდება და მალე გამოვა დასურათებული სახელმძღვანელო „გუთანი", მესამე გამოცემა.

---

## მინადორა დუნდუას

**ქალთა პროფესიონალური [illegible]სასწავლებელი,**

## გ ა დ ა [illegible] ა

**ბალახვანის ქუჩაზე, იოს[illegible] სახ[illegible]** [illegible] მიღება დაიწყება 25 აგვისტოდან. წელს იხსნება 4-ხე [illegible]. [illegible] არის გახსნილი სააბანო განყოფილებაც. ნახვა შეიძლება მოსალაპარაკებლათ დილის 9 სათ. -2 საათ.

---

ექიმის იკ. ბოკერიას

## ს ა ა ვ ა თ მ ყ ო ფ ო

გადავიდა ახალ ბინაზე წითელ ხიდთან, მიხეილის ქუჩაზე, კლუბის პირდაპირ. დასაწოლ ავათმყოფებს ღებულობენ ყოველ დროს.

---

## შექსპირი ქართულად!

### გამოცემა ივანე მაჩაბლის თარგმანებისა.

**მიიღება ხელის მოწერა ივ. მაჩაბლის მიერ ნათარგმნ**

## შ ე ქ ს პ ი რ ი ს

რვა ტრაღედიის გამოცემაზე: (ჰამლეტი, ოტელო, მეფე ლირი, მაკბეტი იულიოკეისარი, ანტონიუს და კლეოპატრა, კორიოლანოს და რიჩარდ მესამე). - გამოცემა იქნება ერთ წიგნად და შეიცავს ათასამდი გვერდს, დიდი ფორმატისას. გამოცემას დაერთვის ბიოგრაფიები შექსპირისა და ივანე მაჩაბლისა და მათივე სურათები. ფასი ხელის მოწერით: 3 მან. შემდეგ ფასი გადიდებული იქნება. ვისთვისაც ერთად ფასის გადახდა საძნელოა,—მათთვის ხელის მოწერა განაწილებულია სამ ვადად: **პირველ** ღ შემოსატანი—1 მან. მეორე—პირველ ნოემბერს—1 მ., და მესამე—1 მ. 7 იანვარს 1915 წელს.

წიგნი დარიგდება 1915 წელს თებერვლის განმავლობაში. ხელის მოწერა მიიღება **თფილისში:** ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და გამომცემლის საკუთარ ბინაზე (ოლგას ქუჩაზე, 52), და **ქუთაისში** მთავრიშვილისა და ოცხელის წიგნის მაღაზიებში და ისიდორე კვიცარიძის კანტორა „იმერეთ"-ში გამომცემელი **კნ. ანასტასია ალექს. ასული მაჩაბლისა**

---

ქალთა კერძო გიმნაზია

## მ. ყაუხჩიშვილისა

აცხადებს, რომ ხელახალი გამოცდა დაიწყო 23-ს მარიობისთვეს. სწავლა დაიწყება 1 ენკენისთვეს.

---

**ექიმი** **გ. დ. ნასარიძე** დაბრუნდა და ავათმყოფების მიღება განაახლა (შინაგანი, ბავშების და ნერვების სნეულებანი) დილით 9- 2 საათამდე და საღამოთი 5—7 საათამდე თფილისის ქუჩაზე, ეზიკოვის სახლში (ქალაქის პირველ აფთიაქის პირდაპირ).

---

**დოკტორი** მედიცინისა, პრივატ-დოცენტი **გ. პ. მოსეშვილი** ჩამოვიდა და ღებულობს შინაგან და ნერვების ავათმყოფებით სნეულებს დილის 8 ს.—12 ს., ნაშუადღევის 5 ს.—8 საათამდი.

გოსპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი № 6.

---

**ქ. ქუთაისში**

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი

### ს. ა. ცეიტლინი.

კბილის და პირის ავათმყოფობა. ხელოვნური კბილების გაკეთება.

მიიღებს ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და 4—7 საათ. საღ. ბალახვანის ქუჩა. სახაზინო პალატის გვერდით.

**ტელეფონი 153.**

---

ვ. უნივერსიტეტის მედიცინის

**ექიმი** **ვ. ი. კაკიტელაშვილი** საზღვარგარეთიდან დაბრუნდა და განაახლა (შინაგანი, ქალთა და საშარდე სნეულებიანი) ავათმყოფების მიღება. საგარდე მილისა და ბუშტის ელექტრონით შინათება (ცისტოსკოპით) ათაშანგის [illegible] ლობა 606—914, განსაკუთრებული ელექტრონის სინათლით სამკურნალო კაბინეთი. ელექტრონის აბაზანები. მიღება დილის 9—12 საათ. და საღ. 5—7 საათ.

**მისამართი:** ქარვასლისა და პუშკინის ქუჩის კუთხე, პუშკინის ფოტოგრაფიის პირდაპირ.

---

**ექიმი** ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე დილით 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ელიზბეგოვის სახლში.

---

**ექიმი** მ. დ. ბეთანოვი იღებს კანისა, ვენერიული, და სქესობრივი უძლურებით ავადმყოფთ დილის 9 -12 ს., საღამოს 5—8 ს. აფთიაქის ქუჩა № 24 საკუთ. სახლი.

---

**ელექტრონის და სინათლის სამკურნალო კაბინეტი**

**ექიმის** **გაბრიელ იოსების ძის გოკიელისა** შინაგანი, ნერვების და ვენერიული ავათმყოფთათვის. ავადმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

---

**ექიმი** **გრიგოლ ალშიბაია** უკვე დაბრუნდა და განაგრძობს ავათმყოფების მიღებას ძველ ბინაზე.

---

## სამოსწავლო მთავრობის ნებართვით

ამა წლის 1-ლ ეკენისთვიდან ვხსნი ვაგზლის ქუჩაზე, საკუთარ სახლში,

**მე-3 ხარისხის მოსამზადებელ**

## სასწავლებელს

ორივე სქესის ბავშთათვის, რომელსაც მიზნათ ექნება ბავშების მომზადება გიმნაზიების შესასვლელად მეორე კლასამდი.

ბავშების მიღება დაიწყება 20 აგვისტ.

ნინო მათეს ასული

ხოშტარავასი.

## ქუთაისი, 28 აგვისტო.

ამ მოულოდნელმა ომმა ყველას დავთარი დაგვიბნია და არც საკვირველია! იმ დროს როდესაც მთელ ქვეყანას ცეცხლი უკიდია და ჩვენი ცოდვილი სამყარო სისხლის წვიმებით პირს იბანს, დინჯი, დაოფიქრებული მსჯელობა ამა თუ იმ საგანზე ნ სულ აღარ გვეხერხება და ან გული აღარა გვაქვს საამისოთ. სრულიად ევროპის ომმა თავსზრუ დაგვასხა და ყოველივე ჩვენი ფიქრი და აზრი შებორკა.

— რა მოგველის ხვალ? აი ის საკითხი, რომელიც ასასივით აჰყუდებია ჩვენ გონებას და გასაქანს აღარ გვაძლევს. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ხვალინდელ დღეზე აღარ ვიფიქროთ. სიცოცხლე მარტო ცხოველური ალღო ხომ არ არის, სიცოცხლე მოძრაობა და ცხოვრების მოწესრიგებაა, რაც უფრო მეტი გასაჭირი ადგია კაცს, მით უფრო საჭიროა მისთვის დახმარება, გამხნევება, წაქეზება, მხარის მიცემა, ერთობა. რაც უფრო დუხჭირია ცხოვრება კერძო კაცისა თუ საზოგადოებისა, მით უფრო საჭიროა შეერთებულის ძალით საქმისლა, გაძლოლა, გამოფხიზლება, რომ გულიდან გადაიყაროს შავი და ბნელი დარდები, გონება მახვილათ შეხვდეს მომავალს და უიმისოდაც უგემური და უფერული ცხოვრება სულ მთლად არ გააუგემუროს და გაამწაროს.

ყველა ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ გუშინწინ, 26 აგვისტოს, ქუთაისის, დრამატიულმა საზოგადოების გამგეობამ კერძო,—სათათბირო კრებაზე,—რომელიც ქალაქის გამგეობის დარბაზში მოხდა, მეტად საგულისხმო საკითხი დაგვიყენა:

— რადგანაც სრულიად ევროპის ომი მოულოდნელათ დაგვატყდა თავს და დღეს თუ არა ხვალ მაინც შეიძლება ჩვენი ქვეყანაც ბრძოლის ველად გადაიქცეს, დავიწყოთ, თუ არა სეზონი?.

ვიდრე იქ დამსწრე საზოგადოების პასუხს გადმოგცემდეთ, საჭიროა გავიხსენოთ, რომ ქუთაისის დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ ფრიად საჭირო საქმე გამოაწყო: ჯერ ისევ ივლისში მოიწვია დასი, ჩვენ მსახიობთა უკეთესს და უწარჩინებულესს ძალებს პირობით შეეკრა და შეუდგა თეატრის დარბაზისა და მოწყობილების შესწორება-შელამაზებას. დასის ერთი ნაწილი უკვე ჩამოვიდა ქუთაისში და ახლო მომავალში სეზონის გახსნასაც ეპირება.

ყველა ამას დრო უნდოდა, ხარჯი სჭიროდა და დრამატიულ საზოგადოების გამგეობა დღევანდლამდე პირნათლადაც უძღვებოდა საქმეს. დღეს კი შეშინებულან, ან არ უნდათ, რომ პასუხის მგებელნი იყონ საზოგადოების წინაშე მომავალ ზარალისათვის, ზემოდ აღნიშნული საკითხი დაგვიყენეს.

რაც უნდა მოულოდნელი ყოფილიყო ასეთი შეკითხვა საზოგადოებისადმი, პასუხათ სწორედ ის უნდა მიეღოთ, რაც მიიღეს ე ი.

— სეზონის დაუწყებლობა შეუძლელია. ამისთანა დუხჭირ დროს წარმოდგენები უფრო საჭიროა, ხალხიც მოწყურებულია ერთად შეკრებას, აზრთა გაზიარებას და, ამიტომ, სეზონი რაც შეიძლება ადრე უნდა დაიწყოს.

ეს იყო გადაჭრილი პასუხი საზოგადოებისა.

როგორც ყოველთვის მოხდება ხოლმე, ბ-ნ გ. ლალიძის მიერ გადაჭრილად გამოთქმულმა პასუხმა კამათი გამოიწვია გამგეობის წევრთა მხრივ.

ყველაზე თავ-გამოდებითა და სიფრთხილით ილაპარაკა ბ-ნმა ა. კრინიცკიმ. მან აღნიშნა საერთო კრიზისი ყველა ჩვენ დაწესებულებათა. განმარტა ომის ზეგავლენა ვაჭრობა-მრეწველობაზე, დაგვისურათა, რომ თითონაც კი დიდ გაჭირვებაში ჩავარდნილა და ამიტომ საძნელოთ მიიჩნია სეზონის დაწყება.

შეუძლებელი იყო, რომ არ დავთანხმებოდით ბ-ნ კრინიცკის სიტყვის იმ ნაწილს, რომლითაც მან აღნიშნა ომის საზარალო ზეგავლენა ქვეყნის საწარმოვო ძალებზე, მაგრამ იმაში კი ვერ დავეთანხმებით, რომ ქუთაისის თეატრში მოსიარულე საზოგადოებას რაღაც მეტის მეტი სიფრთხილისა გამო სულიერი საზრდო მოვაკლოთ და სეზონი დავუკეტოთ.

ვინ დაიარება, საზოგადოთ, ქართულ თეატრებსა და, კერძოთ, ქუთაისის თეატრში?.

რამდენადაც დაკვირვებული ვართ, ქუთაისის თეატრს აცხოვრებენ არა ვაჭრები, არა ეგრედ წოდებული მსხვილი თავად-აზნაურული, ან ბურჟუაზიული ინტელიგენცია, არამედ მას აცხოვრებს დემოკრატია, ქონებრივათ წვრილი ინტელიგენცია და მოსწავლე ახალ-გაზრდობა.

ამათ კი თავის დღეში არც კრედიტები ჰქონიათ ბანკში, არც სხვა რაიმე წყარო დიდისა და განსაკუთრებული შემოსავლისა, მაგრამ წარმოდგენებზე კი ყოველთვის უვლიათ და ივლიან დღესაც, რადგან მათ სულიერი მოთხოვნილება აქვთ. მაშასადამე, ამის გამო „თეატრის პუბლიკას“ ჯერ-ჯერობით ბევრი არა დაჰკლებია-რა: —არც კრედიტი შეჰკვრია და არც ბანქოს სათამაშო ფული შემოჰკლებია, ხოლო თეატრში სიარულის სურვილი კი გაორკეცებული აქვს. რა დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ აქედან? ჩემის აზრით, ერთად ერთი დასკვნა ის იქნება, რომ—**თეატრს ჩვეულებრივი მაყურებელი იმდენათ არ დააკლდება.**

ის მოსაზრება, რომ „შეიძლება ჩვენი ქვეყანა ბრძოლის ასპარეზად გადაიქცეს“, ჯერ ჯერობით სეზონის დახურვის საბუთად ვერ გამოდგება.

ნათქვამია: „ქვეყანა ჯერ არ დანგრეულიყო და მუდო მიწაში მიძვრებოდაო“. ჩვენ რომ ახლავე სეზონი დავხუროთ და უკვე მოწვეული დასი ამთავითვე დავითხოვოთ, სწორეთ ამ „მუდოს“ საქმე დაგვემართება; მართალია, ვერავინ იწინასწარმეტყველებს, რას მოგვცემს სხვალინდელი დღე, მაგრამ იმასაც ვერავინ გვირჩევს, რომ ახლავე მიწაში ჩავსხდეთ, თავზე ნაცარი წავიყაროთ და მხოლოდ შავ სიკვდილზე ვიფიქროთ: საამისო ჯერ არა უჭირს-რა ჩვენ ქვეყანას. პირიქით, ჩვენ ახლა უფრო გვინდა გამხნევება, რიგიანი სულიერი საზრდო და მედგარი საზოგადოებრივი მუშაობა, რომ უფრო მომზადებული შევხვდეთ მომავალ ბედისწერას.

ჭკუის ერთი მასწავლებელი და გულგონების გამხალისებელ-გამამაფხიზლებელთაგანი თეატრიც არის და მის საუკეთესო ქურუმებს რომ ახლავ ხელი ვკრათ, დანაშაულიც იქმნება ჩვენის მხრივ და უდიერობაც. (აქვე უნდა მოგახსენოთ, რომ წლევანდელზე უკეთესი დასი ქუთაისს არა ჰყოლია; თვით თფილისსაც კი შეეხარბება ასეთი დასი).

ეჭვს გარეშეა, რომ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას ომმა ბევრ რამეში შეუშალა ხელი, შემოსავლის ბევრი წყარო მოაკლო, მაგალითად, ჩვენ დაწესებულებათაგან—(ბანკი, შავიქვის მრეწველთა საზოგადოება და სხვა)—ვეღარაფერ დახმარებას ვერ მიიღებს, მაგრამ აქ ერთი გამოსავალია, სახელდობრ ის, რაც მკაფიოთ აღნიშნა სათათბირო კრებაზე ვექილმა გრ. გიორგაძემ.

— **მოულოდნელად შექმნილ პირობათა მიხედვით ხარჯების შემცირება.**

ვინც კი იცნობს ჩვენ მსახიობებს, ვინც კი იცის, რომ ისინი მარტო მსახიობები კი არა, საზოგადო მოღვაწენიც არიან, ისეთი საზოგადო მოღვაწენი, რომელთაც მთელი თავისი მადლიანი ნიჭი და არსება სამშობლო სცენისათვის შეუწირავთ (ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილი, ვალერიან გუნია, ვალ. შალიკაშვილი და სხვანი), დამეთანხმება რომ ისინი სეზონის რიგიანათ წარმართვის საქმეს ხელს შეუწყობენ და დრამატიულ საზოგადოებას სულს არ ამოხდიან.

ამგვარად, არავითარი საბუთი არა გვაქვს, ჩვენის აზრით, იმისა, რომ სეზონი შევწყვიტოთ და ქუთაისის ქართველი საზოგადოება ამ თავითვე უწარმოდგენებოთ დავტოვოთ.

ვიმეორებთ; სეზონის ახლავე დახურვა ერთის მხრივ დიდი დანაშაული იქმნება საზოგადოების წინაშე და დიდათაც შეაფერხებს წარმოდგენების საქმეს მომავალში, ხოლო მეორეს მხრივ დასის ახლავე დათხოვნა შეურაცყოფა იქნება იმათი, ვინც მზად არიან მსხვერპლი შე[illegible]როს ქართულ მელპომენის საკურთხეველს.

**დასკვნა.** აუცილებ[illegible] სეზონი ქართული წარმოდგენებისა ქუთაისში **დაიწყოს რაც შეიძლება ადრე** და დროის შესაფერი პიესებით. ჩვენ ჩვენს მეცადინეობას ნუ მოვაკლებთ და გამმარჯვე, თუ დამმარცხებელი დაე, ჩვენი ბედი იყოს!

—✦—

# სრულიად ევროპის ომი

## დეპეშები

პეტ. დეპ. სააგენტოსაგან.

**პეტროგრადი.** 26 აგვისტ. ოფიცალური. მთავარ სარდლის შტაბიდან. 24 აგვისტოს ავსტრიელების ყველა ფრონტზე ბრძოლა იყო. ავსტრიელების ჯარის ცენტრი უკანუკან იხევს. რავის რაიონში-რუსეთში-მედგარი ბრძოლაა მტრის დიდი სალასთან. ჩვენს ჯარს იერიში მიაქვს ქალაქთან გამაგრებულ პოზიციებზე. ვისლის მარცხენა ნაპირზე ჩვენი იერიში სასურველათ გძელდება.

**პარიზი.** 25 აგვისტოს გამოცხადებული ოფიციალური ცნობა გვაუწყებს, რომ მოკავშირეთა ჯარის მარცხენა ფრთამ რამდენჯერმე იერიში მიიტანა მტერზე, მაგრამ მტერს შესანიშნავი წინააღმდეგობა არ გაუწევია ცენტრში, ვერდენის რაიონთან, მოკავშირეთა ჯარმა უკან დაიხია. ზოგიერთ სხვა ადგილას არავითარი ცვლილება არ მომხდარა. მარჯვენა ფრთაზე, ვოგეზთან, სადაც საფრანგეთის ჯარსა რამდენიმე კერძო გამარჯვება ქონდა, იმ ჯარს, რომელიც იცავდა პარიზის მოწინავე სიმაგრეებს, ურკას მიდამოეში რამდენიმე შეტაკება ქონდა მტერთან, რომელიც საფრანგეთის ჯარის სასარგებლოთ დასრულდა. სამხედრო მინისტერმა მებეჟის გუბერნატორს დეპეშ გაუგზავნა, სადაც აღფრთოვანებით აღწერს სიმაგრეების დამცველთა გმირულ მოქმედებას.

**როტერდამი.** 26 აგვისტო. ინგლისის მოყარაულე გემი „პატფაუნდერი“ ნიუკესტრის მახლობლათ ნაღმს წააწყდა და დაიძირა.

**ლონდონი.** „პატფაუნდერის“ დაღუპვის დროს მოკვდა 3, დაიჭრა 13 და 243 კაცი კი აღარსადა სჩანს; სარწმუნო ცნობებიდან სჩანს, რომ კაპიტანი და 50—60 კაცი გემზე მოსამსახურეთაგანი გადარჩენილი არიან,

**პეტროგრადი.** 23 აგვისტოს. ხელმწიფე იმპერატორმა უმოწყალესათ ინება და წმიდა გიორგის მეოთხე ხარისხის ჯვრით დააჯილდოვა ინფანტერის გენერალი რუზსკი იმ წინასწარი ბრძოლისათვის, რომელიც მოხდა ავსტრიელებთან ლვოვის აღებამდი და ამავე გენერალს უმაღლესათ ებოძა წმ. გიორგის მეოთხე ხარისხის ჯვარი ლვოვის აღებისათვის. ხოლო კავალერიის გენერალს ბრუსილოვს გულის ჯვარი წმ. გიორგის მეოთხე ხარისხისა იმ ბრძოლისათვის, რომელიც მან გადაიხადა ავსტრიელებთან 21 აგვისტოს და რომლის შედეგათაც იყო გალიჩის აღება, ინგლისის მთავრობამ გამოაქვეყნა შემდეგი ცნობა: გერენალ ქოფრის მოსაზრებანი ადვილი შესასრულებელია. მოკავშირე ჯარებმა იერიში მიიტანეს. გერმანელებზე და აიძულეს ჩრდილო აღმოსავლეთით დაიხიათ.

**ტოკიო.** ვლადივასტოკსა და ცურიგას შორის ნებაყოფლობითი ფლოტის გემთა წესიერი მიმოსვლა დაიწყო. იაპონიის გიდროპლანმა კვლავ დაზვერა ცინდაოს მიდამოები და კიოჩაოს სრუტესთან გერმანიის ნაღმებს სამი ყუმბარა ესროლა.

**კრონშტატი.** 26 აგვისტო კრონშტანტის ციხის კომენდანტმა ციხის რაიონებში აკრძალა ყველა მაგარი სასმელების გაყიდვა სასტუმროებსა, რესტორანებსა, ბუფეტებსა, კლუბებსა და საზოგადო საკრებულოებში.

**რომი.** ჟურნალი დიტალია დაურაცოდან დეპეშით იუწყება, რომ ალბანიის ახალ პრინცათ იქნება ბურანეთედინი სულთან აბდულ-ჰამიდის შვილი. ალბანია სრულიად დამოუკიდებელი იქნება. ესსადფაშა დაინიშნა მინისტრთა საბჭოს თავჯდომარეთ.

**პეტროგრადი.** 25 აგვისტო. გარდაიცვალა სლავიანთა საქველმოქმედო საზოგადოების თავჯდომარე ინფანტერიის გენერალი პარენსოვი.

**სოფია.** 25 აგვისტო. ბოლგარიის

## ქუთაისის ქართული თეატრის წარსულიდგან.

(მ ო გ ო ნ ე ბ ა ნ ი).

(შემდეგი, იხ. „იმერეთის“ № 139)

გამოცდილებამ ბევრი ნაკლულოვანება გვაჩვე[...], ბევრი რამ ცუდი მხარე ჩვენის მოქმედებისა დაგვანახა, თვალი აგვიხილა და ამის მიხედვით იმედი გვქონდა შემდეგში საქმეს უფრო კარგათ დავაყენებდით და სარგებლობასაც მეტს მოვიტანდით. ამ დროებში ხმა გავრცელდა ქუთაისში, რომ ჩვენი თეატრის სულის ჩამდგმელი ბ. ვლ. მესხიშვილი ქუთაისის სცენას თავს ანებებს, თავის მოღვაწეობის ასპარეზს, მასთან ღრმა პატივისცემით მისდამი აღჭურვილ ქუთაისის საზოგადოებას თავს უკრავს, ემშვიდობება და ჩვენთვის უცხო ქვეყანაში მიემგზავრებაო. რა იყო ბ. მესხიშვილის ამ გვარი სურვილის მიზეზი, ამას ჩვენ აქ ვერ ვუჩვენებთ საზოგადოებას და არც საჭიროა, მხოლოთ ამას მოგახსენებთ, რომ ამის შესახებ შესდგა კომისია, რომელმაც აირჩია შემდეგი პირები: ივ. გომართელი, თ. ხუსკივაძე, სერ. რობაქიძე, ვ. ბეჟანიშვილი, გ. გოკიელოვი და ალექსანდრე გარსევანიშვილი და დაავალა ბ. მესხიშვილისათვის ეთხოვნათ დარჩენილიყო და ამ სეზონში მხურვალე მონაწილეობა მიეღო.

ბ. მესხიშვილმა, ერთის მხრივ, საზოგადოების გულწრფელი თხოვნა და, მეორეს მხრივ, სამშობლო ქვეყნის უანგარო და ღრმა სიყვარული მიიღო რა სახეში—ჩვენს თხოვნას პატივი სცა, დარჩა ქუთაისში, გამოაცხადა სურვილი შეძლებისადაგვარათ, კვლავინდებურათ ემსახუროს ქვეყანას, მაგრამ ანტრეპრიზას კი სამუდამოთ გამოეთხოვა და მისი თავზე მიღება ამ სეზონში სრულებით უარჰყო, უარჰყო იმ მიზეზისა გამო, რომ ჯერ ყოველთვის მძიმე ტვირთია ერთი კაცისათვის ქართული თეატრის ანტრეპრენიერობა და მეორეც ისეთ არეულობის დროს, როგორიც დღეს ჩვენშია, მართლა რომ ძლიერ ძნელია კერძო პირმა, ვინც უნდა იყოს იგი, ეს საქმე ისე წაიყვანოს, რომ საზოგადოებაც ნასიამოვნები დარჩეს და თვითონაც არ ჩავარდეს ვალებშიო,—გვითხრა პასუხათ ბ. მესხიშვილმა.

როგორც ყოველ კეთილ და სასარგებლო საქმეს ისე თეატრსაც თავისი მტერმოყვარე ჰყავს, არიან ჩვენში ისეთი პირები, რომლებიც ძლიერ ახლოს დგანან თეატრის საქმესთან. მათ სჯეროდათ, რომ თეატრი ის დიდებული გონებითი ლამპარია, რომლის შუქიც ბნელში მყოფ ხალხის უმეტესობას წარმატებისაკენ გზას უჩვენებს და თვით არსებობისათვის საბრძოლველათ ამზადებს. ამიტომაც ვიკისრეთ, რომ ბ. მესხიშვილის უარყოფით ქუთაისის საზოგადოება არ ყოფილიყო მოკლებული იმ დიად სასარგებლო გონებითი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, რომელსაც მისთვის ქართული თეატრი შეადგენდა, და ამ სურვილის გასახორციელებლათ ერთგვარ საშუალებას მივმართეთ.

დავაარსეთ კერძო ამხანაგობა. თვითეულ ამხანაგობის წევრს, გარდა თავისი წილი ფულის შემოტანისა, სხვა არაფერი არ მოეთხოვებოდა, არც მიზანი ჰქონდა, რომ რაიმე სარგებელს ან მოგებას აქედან მიიღებდა. იგი, როცა კი წევრად ეწერებოდა, დარწმუნებული იყო, რომ თეატრის საქმეს ემსახურებოდა და მეტი არაფერი კომერციული მოსაზრება მას არ აწუხებდა.

ამხანაგობის წევრობა ყველას შეეძლო, ვინც კი შემოიტანდა საწევრო ფულს, განაწილებულს სამ კატეგორიათ: 25 მანეთი, 50 მანეთი და 100 მანეთი იყო საამხანაგოთ შემოსატანი თანხა. ამ ფულების შემოტანა შეიძლებოდა სურვილისამებრ ამხასაგისა, ან ერთათ და ან ნაწილ-ნაწილათ.

ამ გვარ წევრებს სღავათი ჰქონდათ ბილეთების ყიდვის დროს: მაგალ., 25 მანეთიან წევრს ვაკლებდით მანეთიან ბილეთში 25 კაპ. 50 მანეთიან წევრს მანეთში—50 კაპ. და ას მანეთიანს კი მანეთს, თუ კი ბილეთის ფასი მანეთს აღემატებოდა.

ამხანაგობამ ამ სეზონში მოიწვია მსახიობნი ქალები: ნ. დავითაშვილის, ვ. რონელი, თ. კიკნაძის ქალი, ნ. გამყრელიძე, ნ. ჯავახიშვილისა, გ. ზარდალაშვილისა, ე. ქვარიანი—ჩიქოვანი.

კაცები: ვლ. მესხიშვილი ვიკტ. გამყრელიძე, ნ. გვარაძე, ი. ზარდალაშვილი, დ. მესხი, დ. ბაქრაძე, ა. მურუსიძე, გრ. ჩარკვიანი, ი. აბულაძე (სცენარიუსი) ვ. ამაშუკელი, თ. შველიძე (მოკარნახე) ვ. შალიკაშვილი, ადმინისტ. ნ. მარჯანიშვილი.

სეზონი გავხსენით პირველ ოკტომბერს და დავასრულეთ 12 თებერვალს 1906 წლისა.

რადგან მაშინდელი ხალხის მოძრაობა ძლიერ ხელს უშლიდა თეატრში რაიმე წესიერების დაცვას, მივმართეთ საზოგადოების უფრო გავლენიან პირებს და ვსთხოვეთ სცენიდან რამოდენიმე სიტყვა ეთქვათ ხალხისათვის ამ საგნის შესახებ. ვსთხოვეთ საზოგადოებას ამ პირების შემწეობით, რომ დაეცვათ წესიერება თეატრში ისე, როგორც მიღებულია ყველა განათლებულ ქვეყნებში, არ მიეცათ ნება ხმა მაღლა ელაპარაკნათ ანუ ისეთი სიმღერები ემღერათ, რომლის გამოც თეატრს რაიმე ხიფათი ანუ ვნება მისცემოდა.

ამ მიზნითვე მივმართეთ ქალაქის მმართველობასაც, რათა ყველა წარმოდგენების დროს თეატრში მორიგი წევრი დაენიშნა, რომელიც ვალდებულიყო თვალყური ედევნებია წესრიგის დაცვისათვის როგორც სცენაზე, ისე მთელ თეატრში.

პიესების ამორჩევა მინდობილი ჰქონდა ბ. მესხიშვილს. მან, როგორც გამოცდილმა მსახიობმა, ალღო აუღო იმ დროის ცხოვრებას, კბილები გაუშინჯა მის მოთხოვნილებებს, ასწონ-დასწონა ხალხის ამ დროის გემოვნება, აზროვნება და ესტეტიკა, ამ მოთხოვნილებას ანგარიში გაუწია და ამის შესაფერი რეპერტუარი შეადგინა.

1905 წ. ოკტომბრის პირველ რიცხვებში ბ. მესხიშვილმა ქუთაისის ქუჩებზედ გააკრა განცხადება, რომ იმ წელს ქუთაისის დრამატიული დასი მისივე მეთაურობით დაიწყებს წარმოდგენების მართვას.

ამ სეზონის წარმოდგენებისათვის დამზადებული იყო ახალი დეკორაცია და ტანსაცმელები, რამაც ცოტა ხარჯი და შრომა არ მოითხოვა.

რეპერტუარი შეადგინა სულ ახალ-ახალ პიესებისაგან: მეფის მოღალატე - ისტ. დრამა თეოფ. ხუსკივაძისა; ღალატი - ისტორ. ლეგენდა სუმბათაშვილისა; აქიმი შტოკმანი-იბსენისა; ყაჩაღები—შილერისა; ორლეანის ქალწული—მისივე; ახალი მოძღვრება-როზა—დრამა ჰაუპტმანისა; კანდიდატი—დრამა დელიერისა; ფულის ძალა, ჩრდილოეთის გმირნი—დრ. იბსენისა; ბრანდი—ლირიკული პოემა იბსენისა: ვანიშინის შვილები; მონნა ვანნა—მეტერლინკისა; ჟოზეფინა და ბონაპარტი—დრ. ჰერცფელდისა; მწვანე თუთიყუში—დრ., წითელი მოსასხამი—დრ. ბრიესი; ძმები მისივე და ცხოვრების გარეთ.

პირველი წარმოდგენა გაიმართა ოკტომბრის პირველ რიცხვებში.

წარმოადგინეს დრამა „ცხოვრების გარეშე“. ეს დრამა იმდენათ ეხებოდა თანამედროვე კითხვებს და დღევანდელ ცხოვრებით დაჯაბნულ, დამონავებულ საბრალო მოსამსახურეთა მდგომარეობას იმდენათ დამასურათხატებელი სცენებით არის სავსე, რომ საზოგადოებამ ძლიერ მოიწონა.

ამ პიესაში მან ნათლათ დაინახა თავის საზიზღარი საქციელის სურათები, დააკვირდა მას უფრო ფხიზლათ, შეხედა განიერის თვალით, უფრო სალის და მიუდგომელი საზომით ასწონ-დასწონა თავისი საქციელი და რამდენათ ხშირათ დაინახა ეს სურათი, იმდენათ უფრო შეეზიზღა, შემძულდა და, თუ საქმებით არა, სიტყვით, გრძნობით მაინც გაჰგმო, დასწყევლა ამ გვარი ცხოვრება, ამგვარი კავშირი ბატონთა და მოსამსახურეთა შორის.

ამ პიესას მოჰყვა „მეფის მოღალატე“ დრამა თ. ხუსკივაძისა. შემდეგ ღალატი“ სუმბათაშვილისა. ამ ისტორიულ“ დრამების დადგმამ, ერთხელ კიდევ დაგვანახა ჩვენი წარსული ცხოვრების იარები, მახინჯი და დასაგმობი თვისებანი ჩვენი წინაპრებისა, ერთის მხრივ, და სასიქადულო ვაჟკაცური სიმამაცე მათი, მეორეს მხრივ.

სააგენტო გადაჭრით უარსა ჰყოფს რუსეთის ზოგიერთ გაზეთების იმ ცნობებს, ვითომც ოსმალეთს აზრათა აქვს თავისი ჯარები გაატაროს ბულგარიასა და ფრაკიაზე და ეს ნება მისცემოდეთ მათ ბულგარიისა და ოსმალეთ შორის საიდუმლო შეთანხმების შემდეგათ. ასეთი შეთანხმება არ არსებობს.

**კოპენჰაგენი.** 25 აგვისტო. ვენიდგან იუწყებიან: დიდმა ვეზირმა ნებადართო ხიუსლავიმე. კორესპონდეცია ის თავმჯდომარეს განაცხადოს, რომ ყველას ცნობები, ვითომ საბერძნეთისა და ოსმალეთის ურთიერთ შორისო განწყობილება ვისთვისმე საშიში იყოს—სინამდვილეს მოკლებულნი არიან. პირიქით ოსმალეთის მოლაპარაკება საბერძნეთთან მშვიდობიანი კილოსია. მტკიცება იმისა, ვითომ ოსმალეთი იარაღდება, რომ საბერძნეთს დაეცეს, ესეც მტკნარი სიცრუეა. ოსმალეთის მთავრობას სურს მშვიდობიანი გზით შეუთანხმდეს საბერძნეთს სადავო კუნძულების საკითხში.

**ლონდონი.** 26 აგვისტო. ანტერფენში მყოფმა საგამომძიებლო კომისიამ აღმოაჩინა ახალი ფაქტები ვიზესა, ორდემანსა, არსხოტსა, ლუვენსა და მალინის მიდამოებში გერმანელთაგან ჩადენილ სიმხეცისა გამო. გერმანელები ესროდენ გამვლელ-გამომვლელებს, შარა გზაზე ველოსიპედით მიმავლებს და მინდვრებში მომუშავე გლეხებს. თოფებს ისროდენ აგრეთვე ქუჩებშიაც ცარიელ სახლებიდან და მერე აცხადებდენ, რომ მცხოვრებლები გვესვრიანო. შემდეგ იწყებდენ საერთო ხოცვა-ჟლეტას: სწვავდენ სახლებს და ანგრევდენ მათ, აუპატიურებდენ დედაკაცებს, მიყავდათ მამაკაცები გერმანიაში და ძალათ აბრძოლებდნენ რუსების წინააღმდეგ. მათ დახვრიტეს ანტვერპენელი ათი მღვდელი. აფიცერიალურათ იუწყებიან, რომ ლიეჟში მყოფი გერმანელები უკრძალავენ მცხოვრებლებს სამი დღის განმავლობაში სახლიდან გარეთ გამოსვლას.

ასეთი საქციელს იმითი ხსნიდენ, რომ მცხოვრებლებს არა სცოდნოდათ რა გერმანიის იმ ჯარის მოძრაობის შესახებ, რომელიც უკანვე გერმანიაში ბრუნდება, რაც ამტკიცებს გერმანელ ქვეითა ჯარის რიცხვის ძალზე შემცირებას.

**ლონდონი.** 26 აგვისტო. ანტვერპენის გაზეთები იუწყებიან, რომ გერმანელები სენტამოს დაეცნენ, მაგრამ მოგერებულნი იქმნენ და დიდი ზარალიც მოუვიდათო. გერმანიის ჯარი ტერმონდ ალოსტიდან გენტისკენ წავიდა. გენტის ბურგომისტრმა დელეგაცია მიუგზავნა გერმანიის ჯარების უფროსს.

**კოპენჰაგენი.** 25 აგვისტო. ბერლინერ ტაგებლატის სიტყვით, ბერლინიდან გამოგზავრებულ რუსთა შორის არიან: პროფესორი კარეევი, სახელმწიფო სათათბიროს წევრი ჩხენკელი და მრავალი წარჩინებული პირი.

## მოწოდება
### საზოგადოების მიმართ.

ჯარში გაწვეულთა ოჯახების დამხმარე საგუბერნიო კომიტეტთან არსებულ ქალთა წრის მიერ კვირას, 31 აგვისტოს, დილის 12 საათიდან ქალაქის ბაღში გაიმართება სახალხო სეირნობა ლოტარია-ალეგრით, რომლის შემოსავალიც გადაიდება დასახელებულ კომიტეტის თანხის გასაძლიერებლათ.

ქალთა წრე სთხოვს საზოგადოებას დაეხმაროს ამ კეთილ საქმეს, როგორც თავისი წვლილის გაღებით, ისე საღამოზე დასწრებით.

დაწვრილებით აფიშებში.

## პარიზთან ბრძოლა.

დღეს ყველასათვის აშკარაა, რომ გერმანელები ჩრდილოეთიდან საფრანგეთის შუა გულამდი მივიდენ. თუმცა, ჯერ კიდევ გამოურკვეველია, თუ რამდენათ საშიშია პარიზის ალყა, მაგრამ, თუ, რასაკვირველია, სარწმუნოა კოპენჰაგენის ცნობა, რომ, ვითომც გერმანელებმა მოახერხეს გასვლა ლაფერასა და კომპიენს შუა, მაშინ ეს საშინელება მოახლოებულია. კომპიენი დაშორებულია პარიზს 70 ვერსით და იმყოფება სუასსონის ერთ სიმაღლეზე, რომელიც საფრანგეთის ჯარის მეორე გზის თავდასაცავ სიმაგრეთ ითვლება ლაიფერ-რეიმსის გასწვრივ. აქიდან ჩანს, რომ გერმანელებმა შესძლეს საფრანგეთის იმ ჯარის შემოვლა, რომელიც ამ მეორე თავდასაცავ ადგილზე იყო, მარცხნივ. ამ ცნობას ადასტურებს პარიზის მომზადება თავდასაცავათ და სამხედრო დიკტატურის გამოცხადება. მეორე მხრით, ყველა ცნობიდან, რაც ხელთა გვაქვს, უაზზე მდებარე ლა-ფერი და სომმზე მდებარე პერონი ფრანგების ხელშია. ამ ორ ქალაქს შუა მდებარე ადგილი სწორი გზით 30 ვერს არ აღემატება და ამ ვიწრო ხეობით ასეთ დიდ ჯარს არ შეუძლია გავლა ისე, რომ არ იყოს მოწყვეტილი თავის უმთავრეს ძალას. მეორე მხრით ფრანგების მარჯვენა ფრთაზე გერმანელები მედგრათ იწევენ რეტელისაკენ და ამით სურთ შემოუარონ მარჯვენა ფრთას შალონის გზით, მაგრამ ამასთანავე გერმანელების მარცხენა ფრთა საშიშარ მდგომარეობაში ჩავარდება, რადგანაც ცნობებით რეკრუას მახლობლათ ხელახლა გაჩაღდება ბრძოლა გერმანელებთან, რამდენიც რეტელზე იერიშით მიდიან. აშკარაა პარიზთან სისხლის ღვრა მოხდება. საფრანგეთისა და გერმანიის ჯარი ერთმანეთს გარს უვლიან და მოწადინებული არიან გზა მოუჭრან წინ წაწეულ ჯარს. თუ ვის სასარგებლოთ გადაწყდება ეს ბრძოლა, ახლო მომავალი გვაჩვენებს.

## ბალკანეთზე.

პეტროგრადში ბალკანეთის საქმეების გამო აღმაშფოთებელი ცნობები მოდის.

საბერძნეთსა და ოსმალეთს შორის დამოკიდებულება თანდათან მწვავდება. ბუხარესტში მოლაპარაკება, რომ ამ ორ სახელმწიფოს შორის ჩამოეგდოთ რაიმე შეთანხმება, უნაყოფოთ დასრულდა.

ოსმალეთმა, გარდა საომრათ მომზადებისა ევროპაში, მთელი რიგი ზომები მიიღო, შემთხვევის დროს საბერძნეთს თავს დაეცეს და ამ უკანასკნელათ მისგან წართმეული კუნძულები დაიბრუნოს. ამ მიზეზით, ოსმალეთმა სმირნაში დიდძალ ჯარს მოუყარა თავი. ეს უკანასკნელი გარემოება და, საზოგადოთ, მისი პოლიტიკური მისწრაფება იმას მოასწავებს, რომ ოტომანის მთავრობა არ ერიდება საშინელი ნაბიჯი გადასდგას წინ. დიპლომატიური მოლაპარაკების შეწყვეტა ამ მოკლე ხანში მოსალოდნელია და, თუ ასეთი ნაბიჯი გადადგა ოსმალეთმა, რომელიც უეჭველია, გერმანიის ზეგავლენით იქნება, მაშინ ინგლისი, საფრანგეთი და რუსეთი ამას შეხედვენ, როგორც გამოწვევას სამთა კავშირისას, ანგარიშს გაუწევენ და ოსმალეთის პირველ გამოსვლისათანავე სასტიკ ზომებს მიიღებენ.

ბულგარეთისა და რუმინიის პოზიცია ჯერაც გამოურკვეველია. თუმცა არის საბუთი ვიფიქროთ, რომ ეს სახელმწიფოები, და განსაკუთრებით რუმინია, დაიჭერენ, პირველ დროს მაინც, მოცდის მდგომარეობას.

უნდა შევნიშნოთ, რომ ოსმალეთის განზრახვანი მოულოდნელი არ იქნებიან სამთა კავშირისათვის. ოსმალეთის ასეთი გამოსვლა წინასწარ მიღებული იყო მხედველობაში, და შესაფერი ზომებიც იყო მიღებული სამთა კავშირისაგან.

## განსაკუთრებული დეპეში.

ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლმა თავადმა დ. ო. ნიჟარაძემ შემდეგი დეპეშა მიიღო უმაღლესს მთავარ სარდლისაგან:

დიდათ ნასიამოვნები ვარ და გულითად მადლობას ვუძღვნი ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობას; მრწამს, რომ შეწევნითა ღვთისათა შევმუსრავთ მტრებს მეფისას და სამშობლოისას. გენერალ ადიუტანტი **ნიკოლოზი.**

ეს დეპეშა პასუხია შემდეგის დეპეშისა, რომელიც გაუგზავნა თ. დ. ო. ნიჟარაძემ მათ უმაღლესობას უმაღლეს მთავარ სარდალს 21 აგვისტოს თავად აზნაურთა საგანგებო კრების სახელით:

ალავლინა რა ვედრება უზენაესის წინაშე, რათა სახელოვან რუსეთის მხედრობას კვლავ მიანიჭოს ძლევა მოსილი გამარჯვებანი, ქუთაისის გუბერნიის თავად აზნაურთა საგანგებო კრება კადნიერდება ð ულოცავს თქვენ იმპერატორებითი უმაღლესობას ბრწყინვალე გამარჯვებას და ლვოვისა და გალიჩის აღებას მათი აღება. აღფრთოვანებს მთელს ქვყანას. თავად აზნაურობა ბედნიერია გაიხსენოს, რომ იმ ძლევა მოსილ ჯარში, რომელიც იბრძვის თქვენის უდიდებულესობის ხელმძღვანელობით, იმყოფებიან შვილნი ქუთაისის თავად-აზნაურობისა და იმ ხალხისა, რომელმაც წარსულ საუკუნის განმავლობაში არა ერთხელ დაიმსახურა უმაღლეს ტახტის ყურადღება რუსეთის ჯართან ერთად ბრძოლის ველზე გმირობის გამოჩენისათვის. ქუთაისის გუბერნიის თავად აზნაურთა წინამძღოლი თ. დ. ო. ნიჟარაძე.

## ყურნალ-გაზეთებიდან
### კოოპერაცია ოსმალეთში.

კონსტანტინეპოლიდან მოსული ცნობით, დეპუტატმა უმეიდულამ მიტინგზე წარმოსთქვა სამთა კავშირის საწინააღმდეგოთ მკაცრი სიტყვა. შემდეგ არაბების დეპუტაციის სახელით მიულოცა გერმანიის ელჩს გერმანელების გამარჯვება. მთავრობამ სამთა კავშირის საწინააღმდეგო აგიტაცია მოიწონა. საბერძნეთში შეკრიბეს სათადარიგო ჯარი.

### ცეპელინი ანტვერპენში.

დანიის გაზეთის „პოლიტიკენის“ კორესპონდენტი ასე აგვიწერს საშინელს ღამეს, როცა გერმანელებმა ცეპელინიდან ყუმბარები დაუშინეს ანტვერპენს: ,,თამამად შემიძლიან ვსთქვა, რომ მე განვიცადე ერთი უსაშინელესი ღამეთაგანი ომის დროს. მსოფლიო ისტორიაში პირველად დაუშინეს ღამე მაღლიდან ყუმბარები განათლებული ქვეყნის მშვიდობიან მცხოვრებლეს. მე გავიღვიძე ღამის პირველ საათზე. საოცარი გრგვინვა ისმოდა. ქუჩაში გავარდი ð დავინახე მაღლა 700 ფუტის (100 საჟ.) სიმაღლეზე ჰაერის გემი. რამდენიმე საათის განმავლობაში დავდიოდი ქუჩა-ქუჩა და შევნიშნე, რომ რომ ათი ქუჩა მაინც იყო დაზიანებული. დაახლოვებით 900 სახლი იყო დაზარელებული, ხოლო 60 სრულიად დაქცეული. ადამიანის მსხვერპლის დათვლა ვერ მოვახერხე. ერთს პატარა მოედანზე მარტო ერთი სახლი გადარჩა. მოედანი პლას დე-ლაპე პიუბლიკ საშინელს სანახაობას წარმოადგენდა. არ შემეძლო რისიმე ამის მსგავსის წარმოდგენა: მოფენილი იყო ერთიან ნანგრევებით, რომელთა შორის გაისმოდა დასახიჩრებული ადამიანების კვნესა. შემთხვევით შევხვდი მეფის მდივანს. გავიგე, რომ ყუმბარებს ესროდნენ უმთავრესად საზოგადოებრივ სახლებს, განსაკუთრებით კი მეფის სასახლეს. მდივანი დარწმუნებულია, რომ მთელი ევროპისა და ამერიკის სახელმწიფოები შეერთდებიან და პროტესტს გამოაცხადებენ იმის წინააღმდეგ, რაც ანტვერპენში მოხდა.

### 21 თუ 16 დიუმი?

გაზეთებში ცნობა იყო, რომ გერმანიამ ბელგიის ციხეები 21 დიუმიანი ზარბაზნებით დააქციაო. გაზ. ბ. ვედ.''-ის თანამშრომელს შეუძლებლად მიაჩნია 21 დიუმიანი ზარბაზნის გაკეთება. მისი ფიქრით გერმანიას უნდა ჰქონდეს მხოლოდ 16 დიუმიანი ზარბაზანი, რომელსაც გასაოცარი სიძლიერე აქვს, 21 ვერსზე ისვრის და რომელსაც ვერავითარი სიმაგრე ვერ უძლებს. ეს ზარბაზანი მეტად მძიმეა თურმე, გადატანის დროს დაანაწილებენ ოლმე და ისე გადააქვთ.

### ინგლისის კანონიერი ომი.

თითქმის ინგლისის ყველა კოლონია მზათ არის ომში მონაწილეობა მიიღოს.

## წლიურ ხელის მომწერთა საყურადღებოთ.

ვინც 1 ენკენისთვემდე მთელი წლის გაზეთის ფასს არ [illegible] **ენკენისთვიდან გაზეთის გზავნა მოესპობა**, შემდეგ [illegible] ნისას დაკლებულ ნუმრებს რედაქციიდან ვერ მიიღებს. ვსთხოვთ ადგილობრივ ხელის მომწერთ, რომ გაზეთის დამტარებლებს რედაქციის კუთვნილ ფულს ნუ გადასცემენ. წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხს არ ვაგებთ.

---

თუმც ისტორიულ დრამებსაც დრო წაუვიდა, ისე ალტაცებით მაინც არ ეგებება ხალხი, როგორც წინეთ, მაგრამ ამ სეზონში ამ ორი ისტორიული პიესის მეტი არ დადგმულა და ორივემ დიდი საზოგადოება მიიზიდა თეატრში, განსაკუთრებით „ღალატმა“.

საზოგადოთ წარსული საუკუნე და მასთან ჩვენი ისტორიული ხანაც უმეტეს ნაწილათ ვაჟ-კაცობით, მძლავრი და მახვილი იარაღის ხმარებით იყო სახელგანთქმული.

დღეს ეს ხალხს აღარ ეპიტნავება. დღეს ხმლის მაგიერობას პატარა ფოლადის კალამი ეწევა. ვაჟ-კაცურ ძალ-ღონის მაგივრობას კი გონებითი სიმძლავრე, იდეიური ბრძოლა, აზროვნების შეტაკება, და მიტომაც არის, რომ ისეთი პიესები, როგორც, მაგალითათ, „კაი გრახი“, „ახალი მოძღვრება“, „აქიმი შტოკმანი“ და მათი მსგავსი, თავის შინაარსით უფრო მოიწონა ხალხმა, რადგან იქ გამოთქმული აზრები ნამდვილ ემსგავსებოდენ ხალხის უმეტეს ნაწილის მაშინდელ გულის დარდ-ვარამს, მათ ლტოლვილებას და მისწრაფებას. ბ. მესხიშვილმაც ამგვარი პიესების წარმოდგენით, ხალხის ეს მისწრაფება და გულის თქმა, თავის დასის მიერ ხელოვნურათ განახორციელა და ისე ღრმათ ჩაბეჭდა ხალხის გონების სიღრმეში, როგორც თვალსაჩინო სწავლის დროს შავშის ნორჩ გონებაში ღრმათ ებეჭდის და სამუდამოთ აღმოუფხვრელი რჩება მასწავლებლის მიერ გონიერათ ახსნილი რაიმე ახალი მცნება. ამ წლის რეპერტუარი შემდგარი იყო უმეტეს ნაწილათ უცხო ქვეყნის ცხოვრებიდან ამოღებულ პიესებიდან, რომლებშიაც უცხო ქვეყნის ზნე-ჩვეულება, ხასიათი, მისწრაფება და ლტოლვილება იყო გამოხატული.

გული გვიკვდებოდა, რომ ქართულ სცენაზე საქართველოში ჩვენი ცხოვრების გამომხატველს პიესებს ძლიერ იშვიათად ვხედავდით, მაგრამ იმავე დროს, გადავავლებდით თუ არა თვალს ჩვენი ცხოვრებიდან ამოღებულ პიესების რეპერტუარს, გულ-საკლავათ ამოვიხვნეშებდით ხოლმე, რადგან სიძველე, სიღარიბე, უშინაარსობა თვალში გვეჩხირებოდა და საყვედურსაც ველარ ვბედავდით ბ. მესხიშვილს, ისევ ჩვენთვის ვსდუმდით და მწარე ფიქრებს ჩვენსავე გულში ვიკლავდით, ვიქარწყლებდით.

II.

იმ წელიწადს ქუთაისის დრამატიულ დასში 15 მსახიობი იღებდა მონაწილეობას, როგორც ქალები, ისე კაცები. ამ რიცხვში მე არ ვთვლი იმათ, რომლებიც მხოლოდ დროგამოშვებით იღებდენ მონაწილეობას წარმოდგენებში.

მთელ სეზონის განმავლობაში მე ბეჯითად ვადევნებდი თვალ-ყურს მსახიობების შრომა-მოღვაწეობას.

იმ წელს, დროგამოშვებით, რეცენზიებსაც ვსწერდი და თითოეული მსახიობის თამაში ახლაც ნათლათ მიდგა თვალწინ.

ყველა მსახიობმა თავისი ნიშნობლივი თვისებანი დაგვანახვა სცენაზე, გვაჩვენა თავისი ნიჭის ძალა და ღონე, სუსტი და მძლავრი მხარეები, საქმის მუყაითობა და სიყვარული.

სეზონის განმავლობაში თვალ-ყურს ვადევნებდი მათ მოქმედებას, სცენის სამსახურს და დღეს მსურს, მიუდგომლათ, სრულებით გულწრფელათ გადმოგცეთ მაშინდელი ჩემი შთაბეჭდილებანი: ვლ. მესხიშვილზე, როგორც მსახიობზე, არას ვიტყვი, რადგან მისი ფიზიონომია და სცენაზე მოღვაწეობა იმდენათ გამორკვეული და ცნობილია, რომ ახალს ვერას ვიტყვი და, რაც ასჯერ და ათასჯერ თქმულა-დაწერილა, მისი გამეორება კი მეტათ მიმაჩნია.

ვ. გამყრელიძე გამოცდილი და კარგათ დაქნილი მსახიობი იყო. მისი დინჯი, დაწყობილი მუსაიფი, ვაჟკაცური და სასიამოვნო ხმა, ზედმეწყობილი გარეგნობა ტკბილ ხასიათით შემკულ-შეკაზმული, ერთ საუკეთესო და საყვარელ სცენის მუშაკათ ხდიდა.

ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ მუდამ მშრომელი, საქმის მუყაითი და ენერგიით სავსე კაცი იყო.

დიდხანს ვხედავდით ბ. გამყრელიძეს სცენაზე და არასოდეს არ მახსოვს, რომ მას ან როლები არ სცოდნოდა ან და თამაში გაეფუჭებიოს და მუდამ თავის ალაგას არ ყოფილიყოს, როცა კი თავის ნიჭისა და ძალ-ღონის შესაფერი როლები უთამაშნია.

იმ სეზონში განსაკუთრებით კარგი იყო შემდეგ პიესებში; დანგრეული კერა, ჩრდილოეთის გმირები, ღალატი, კაი გრაკხი და „ცხოვრების გარეშე“-ში. დ. აწყურელიც არ არის ახალგაზდა მსახიობი. ის კაი ხანია სცენას ემსახურება და კომიკურ როლებისათვის სწორეთ რომ ზედ გამოჭრილია. მის სხარტულ ენას, მწარე იუმორს, მიხვრა-მოხვრას და სიმღერას ბევრი სიცილი, ნაღველში გალესილი ცრემლები გამოუწვევია საზოგადოებაში. იგი მუდამ მშრომელი იყო, ენის მცოდნე, ტკბილი მოსაუბრე, სცენა ძლიერ უყვარდა, და სიყვარული ენერგიას კიდევ უფრო უორკეცებდა.

კომედია-ვოდევილებში ნიჭიერათ თამაშობდა, თუმცა სხვა როლებში სავსებით ვერ იჩენდა ხოლმე ამ ნიჭს. იგი ყოველთვის მებრალებოდა, როცა თავის როლში არ იყო. მუდამ ფრთხილათ, თავდაჭერილათ ლაპარაკობდა, რა არის—არ დამავიწყდეს, სხვა არაფერი წამომცდეს. მე ხომ ის არა ვარ, რაც უნდა ვიყო, და ეს ფიქრები შეუმჩნევლათ მის თამაშს ხშირათ უფერულობის დაღს ასვამდა.

კარგი იყო ჯერ ყველა კომედიებში და ვოდევილებში, მაგრამ განსაკუთრებით „ცხოვრების გარეშე“-ში. მისმა კომიკურმა სიმღერამ ბევრი მოხიბლა და ასიამოვნა. გ. თუთბერიძე —ესეც ძველი მსახიობია. კაი ხანა, ემსახურებოდა სცენას და უყვარდა კიდეც იგი. ამ მსახიობს სცენისათვის თითქმის ყველაფერი ხელს უწყობდა, რომ ცოტა ხმის სიმძლავრე, ცოტა უფრო სასიამოვნო ტემბი ჰქონოდა.

ეს ნაკლი ბევრს ლაზათს ართმევდა მის თამაშს. ამ სეზონში კარგი იყო: კაი გრაკხში, ჰამლეტში და ცხოვრების გარეშე“-ში.

ნ. გვარაძე--პირველათ ვნახეთ იმ წელს ქუთაისის სცენაზე—ახალ-გაზდა იყო. ბუნებას უხვი გრძნობით დაეჯილდოებია: ეს ღირსება მის თამაშს ბევრს ნაკლს უმალავდა.

გრძნობიერ მსახიობს მარტო თავის ბუნებით შეუძლია საზოგადოების მოხიბლვა.

ხელოვნება გრძნობასთან ხშირათ უკუდგება ხოლმე და ამ მსახიობსაც სწორეთ ასე მოსდიოდა მთელ სეზონის განმავლობაში.

რომელი როლიც არ უნდა ეთამაშნა, ყოველთვის დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. როგორც საბრალო, საცოდავი,—ყველასაგან დაჩაგრული, ალალ-მართალი ადამიანის ბუნება.

სასცენო ნიჭი ჰქონდა საკმაოთ, გრძნობა უხვი და ენაც მოსაწონი, რომ ცოტაოდენი გარეგნობაც და განვითარებაც ამის და შესაფერათ ჰქონოდა.

როდესაც სცენაზე ერთად ვხედავდი ნ. გვარაძეს და ბაქრაძეს, ყოველთვის ვნატრობდი: ნეტავი გვარაძის გრძნობა ბაქრაძეს გაუზიარა და ბაქრაძის ვაჟ-კაცური გარეგნობა გვარაძეს მეთქი.

მართლაც დ. ბაქრაძეს რამდენათაც გარეგნობა, ვაჟ-კაცური შეხედულობა, მიხვრა-მოხვრა და დიქცია ამკობდა, იმის ნახევარი გრძნობიერება რომ ჰქონოდა, ჩინებული მსახიობი შეიქნებოდა.

გრძნობიერი თამაში ძლიერ ხიბლავს ადამიანს, იტაცებს მის ფსიხიკას—სულიერ არსებობას.

ბაქრაძე სეზონში ყოველთვის თავის როლებში იყო.

კარგათ, მკაფიოთ და გარკვეულათ ასრულებდა ყველა თავის როლებს, მაგრამ მისი თამაში სულს მაინც არ ხვდებოდა ისე, როგორც მოსალოდნელი იყო.

ისეთ პიესებში, როგორც, მაგალ., „ჩრდილოეთის გმირნი“, სადაც გმირებს ყველას გაყინული გრძნობები აქვს, მკაცრი ხასიათი, ვაჟ-კაცური ხმა და მოძრაობა—ბაქრაძე ზედ გამოჭრილი მსახიობი იყო და ამ პიესაში კიდევაც გამოიჩინა იმ წელს თავისი ნიჭი.

თეოფილე ხუსკივაძე.

(შემდეგი იქნება).

თითოეული კოლონია აუარებელ შეწირულობას უგზავნის ინგლისის მთავრობას მებრძოლთა საჭიროებისათვის. მაგალითად, გალიფაქსიდან ცნობაა, რომ კოლონიამ 100,000 ტონი ქვანახშირი შესწირა ომის საჭიროებისათვის. ცეილონის კოლონისტების კავშირმა ინგლისის ჯარს 1 მილიონი გირვანქა ჩაი გაუგზავნა, კერძო პირებთაგან აღსანიშნავია შეწირულობა მისტერის ჯონ იტონისა ტორონტოდან, რომელმაც 20,000 გირვ. სტერლინგი შესწირა ერთი ბატარეის შესაძენათ საექსპედიციო რაზმისთვის, რომელსაც კანადა გზავნის ევროპაში.

**ჩინეთის ნეიტრალიტეტი.**

პეკინის მთავრობა ვაშინგტონში მყოფ თავის ელჩის პირით აცნობებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, რომ დაიცვას ჩინეთის ნეიტრალიტეტი. სტატს-სეკრეტარმა ბრაიანმა, როგორც შორეული აღმოსავლეთის გაზეთები გადმოგვცემენ, ჩინეთის ელჩს ვაშინგტონში განუცხადა, რომ შტატების მთავრობა დაიცავს ჩინეთის ნეიტრალიტეტს გახსნილ ნავსადგურებშიო.

# ქუთაისი

**ახალი ამბავი.**

**რედაქციისაგან.** რედაქცია აცხადებს მკითხველ საზოგადოების საყურადღებოთ, რომ აგვისტოს 17-დან „იმერეთის“ დეპეშების ცალკე გამოცემა **გადაცემული აქვს კერძო კაცს** და ამიტომ გაზეთის რედაქცია პასუხს არ აგებს იმ კორექტურულ შეცდომებისა გამო, რომელიც ამ დეპეშებშია და რომლის გამოც რამდენჯერმე შენიშვნა მისცა იმ კერძო კაცს.

✦ 25 აგვისტოს ქალაქის გამგეობის დარბაზში შესდგა ქუთ. დრამატიული საზოგადოების მორიგი კრება.

✦ ომში დაჭრილთა და ავათმყოფთა სრულიად რუსეთის დამხმარეველი კავშირის მთავარი რწმუნებული მოსკოვიდან ქუთაისის ქალაქის გამგეობას შემდეგ შეკითხვას აძლევს: 1) რამდენი დაჭრილი გყავთ საავათმყოფოში მოთავსებული; 2) რამდენი საწოლი გექნებათ დაჭრილთათვის პირველი სეკტემბრიდან; 3) შეიძლება თქვენ გქნესთ თავისუფალი შენობა სადაც შეიძლებოდეს საავადმყოფო მოთავსდეს; 4) შეიძლება გესაჭიროებათ ექიმები, ფერშლები, დანი მოწყალებისა და სხვა; 5) შეიძლება გაკლდეთ მედიკამენტი (წამლეულობა) და სახელდობრ რომელი; 6) როგორი წესები გაქვთ დაჭრილების გადაყვან-გადმოყვანის საქმეში; 7) რა მანძილზეა თქვენი ქალაქი რკინის გზიდან და სხვა.

✦ ქ. შ. წერა-კითხვის ს. ზ. ქუთაისის განყოფილების სამკითხველოთა მეთვალყურეს მელიტონ დოლაბერიძეს, კობულეთის სამკითხველოსთვის მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიამ შემდეგი სურათები გადასცა: არჩილ ჯორჯაძისა და ერეკლე მეფისა; ძმ. ოცხელის წიგნის მაღაზიამ,—შოთა რუსთაველისა და აკაკის; ისიდორე—კვიცარიძემ: იაკ. გოგებაშვილისა და ივ. გომართელის; გაზ. „იმერეთის“ რედაქციამ:—ა. ყაზბეგისა და ვაჟა-ფშაველასი; გოგიბერიძის წიგნის მაღაზიამ:—ილია ჭავჭავაძისა და ი. კილაძემ—ე. ნინოშვილის.

✦ 1 სეკტემბერს ქ. ქუთაისის ოლქის სასამართლოს დარბაზში თფილისის სამოსამართლო პალატა გაარჩევს: სილიბისტრო გოგიას, თედორე ჯაკობიას, ლუკა ბალანჩივაძის, არჩილ გუგუშვილისა და მიხეილ შაგალდოვის საქმეს.

✦ გაზ. „ჩვენი ერის“ რედაქტორის სერგო გერსამიას საქმე, რომელიც სამოსამართლო პალატას პირველ სეკტემბერს უნდა გაერჩია, შემდეგისთვის გადაიდვა.

✦ გუშინ ქუთაისის ბაზარზე ფუთი პურის ფქვილი 7 აბაზათ ფასობდა,—სიმინდის—1 მ. და 6 შაურიათ, კარტოფილი 3 აბ., ხახვი კი 10 შაურათ.

✦ რედაქციამ მიიღო ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“-ის მორიგი ნუმერი.

# თფილისი.

— საქართველოს ეგზარხოსი პიტირიმი „კავკაზ“-ში მოწოდებით მიმართავს ქართველ ხალხს და მხურვალედა სთხოვს, დახმარების ხელი გაუწოდონ მეომართა ოჯახებს, რომელნიც უპატრონოდ დარჩენ და დღეს დიდ გაჭირვებაში არიან ჩაცვივნულნი.

— სახლის პატრონები და ომი. სავალდებულო დადგენილების ძალით სახლის პატრონთ აეკრძალათ სახლიდან დათხოვნა ომში გაწვეულ სათადარიგო ჯარის კაცთა ოჯახებისა. ასეთ ოჯახებისთვის დახმარება შეძლებისდაგვარად ჩქარა მოეწყობა მთავრობისა ან საზოგადო ორგანიზაციის მიერ.

— ღვინისა და არყის გაყიდვა უმაღლესის განკარგულებით აღკძალულ იქნა იმ დრომდე, სანამ ომი სრულიად არ დამთავრდება.

— კომპოზიტორ კ. ფოცხვერაშვილის მონაწილეობით 27 აგვისტოს ახალ კლუბში სიმფონიური კონცერტი გაიმართება. სხვათა შორის შესრულებულ იქმნება ამ კომპოზიტორის ზოგიერთი ნაწარმოები.

— ქართული თეატრის სტუდიაში 30 კაცში მიიღეს ორი.

— ავლაბრის სახალხო წარმოდგენების მმართველმა წრემ რეჟისორად მიიწვია მსახიობი ი. ივანიძე.

— მოწყალების დათა კურსები გაიხსნა 24 აგვისტოს თფ. სარკინისგზო საავათმყოფოსთან. კურსებზე 80 ქალი ჩაეწერა.

სახალხო სახლიდან ჯარისკაცნი გაიყვანეს. შენობას ქალაქის გამგეობა ახლავე შეაკეთებს. სათეატრო სეზონი იქ დაიწყება სეკტემბრის შუა რიცხვებში.

— თფ. სასწავლებლებში სწავლა თავის დროზე დაიწყება. ჯარი 26 აგვისტოს ყველა სასწავლებლის შენობას დასცლის, და ამ დღიდანვე შეუდგებიან შენობის შეკეთებას.

## მცირე შენიშვნა დიდ საქმეზე.

**(გარეშეს წერილი).**

ამ დროს, როდესაც ყუმბარა და ზარბაზნების ტყვია ასი ათასობით იწირავს ადამიანთა სიცოცხლეს, როდესაც მსოფლიოს ომიანობის ცეცხლი მოსდებია და უმოწყალოთ ანადგურებს ადამიანის გონების ნააზრს, ნამოქმედარს, კულტურასა და ხელოვნებას, მაშინ ძნელია შინაურ საქმეებზე წერა და იმ ნაწერზე მკითხველის გულისყურის მიქცევა; მე მაინც ამ მცირე შენიშვნას გავუზიარებ ქუთათურ მოქალაქეთ ხმოსანთა არჩევნების მოახლოების გამო.

ძველ ხმოსნებს სამსახურის ვადა უთავდებათ. 14 ეკენისთვეს დანიშნულია ახალი ხმოსნების არჩევნები. ხმოსნების არჩევნები-ეს რთული და საპასუხისგებლო მოვალეობაა. ქუთაისი ყოველმხრივ ჩამორჩენილი ქალაქია: არა აქვს წყალსადენი, განათება, ტრამვაი, კანალიზაცია, ყოველივე ამათ გაკეთება უნდა; ამ საქმეთა მოსაწესრიგებლათ და გასაკეთებლათ საჭიროა არა ლუარსაბ თათქარიძეები, არამედ ცოდნით და პრაკტიკული ნიჭით აღჭურვილი პირები. ასეთი პირების არჩევისათვის საჭიროა მეტი მოფიქრება და დამშვიდებული გონება. ამჟამად მოქალაქეთა მოფიქრება და გონება აფორიაქებულია. ზოგს მარჩენალი შვილი სამხედრო სამსახურში ჰყავს და იმის ოცნებაშია დაბრუნდება თუ არა ცოცხალი, ზოგს ომიანობის გამო სავაჭრო საქმეები აეწეწა, ზოგიც წამდაუწუმ თათრების შემოსევას მოელის და იმის ფიქრშია, საით გაიქცეს. ასეთ პირობებში, ჩემის აზრით, ხმოსნების არჩევნები ყოველგვარ გონიერებას იქნება მოკლებული. არჩევნები მოხდება უგულოდ, დაუფიქრებლათ და შედეგი ამ დაუფიქრებელი და უგულო არჩევნებისა ფრიად სავალალო და სამწუხარო იქნება ქალაქისათვის. ამისათვის ჩვენი რჩევაა აუცილებლად გადაიდოს სხვა დროისათვის.*)

**ილია ბახტაძე.**

## დაბა-სოფელი.

**დ. ხარაგაული.** დაბა ხარაგაულს შემდეგი სოფლები აკრავს გარშემო: ფარცხნალი, ვანი, ლელვანი, ჩხერი, ღარიხევ-ბაზალეთი და თეთრაწყარო. მიუხედავათ იმისა, რომ აღნიშნულ სოფლებში საკმაოთ მოიძებნება ინტელიგენტური ძალები, ყველა ეს სოფელი კულტურული მხრით მეტათ დაბალ საფეხურზე დგას. ერთკლასიანი სკოლების მეტი ამ სოფლებს არაფერი არ მოეძებნებათ და სოფელ ფარცხნალსა და ბაზალეთში ისიც არ არის. ამის უმთავრესი მიზეზი შემდეგია: ჩვენ ახალგაზდობას, როგორც შემჩნეულია და ათასჯერ აღსარებული, სოფელი და სოფლიური ცხოვრება არ უყვართ და სულ დაბა-ქალაქებს ეტანებიან. აღნიშნული სოფლების სტუდენტებმა თითქმის მთელი წრევანდელი წლის ზაფხული დაბა ხარაგაულში გაატარეს და თავის სოფლის ჭირ-ვარამისთვის მოსალაპარაკებლათ ერთხელაც არ შეუწუხებიათ თავი. მე ამით სრულებით მისი თქმა არ მინდა, რომ მათ კულტურული საქმე არ უყვარდესთ, უყვართ კიდევაც, ბევრიც იშრომეს ხარაგაულის წიგნსაცავ-სამკითხველოსათვის, მაგრამ თავის სოფლებისათვის არაფერი გაუკეთებიათ, და დაბა ხარაგაული მათ სოფლებთან შედარებით კულტურულათ ბევრათ წინ დგას და უიმათოდაც ბევრი მოვლელი ყავს. საზოგადოთ ქართველებს გვიყვარს არც წვადი დავწვათ და არც შამფური, სწორეთ ასე ემართება ჩვენ ახალგაზდობას, მათ ქალაქური ცხოვრებაც უყვართ და კულტურული საქმეების სამსახურიც უნდათ, მხოლოდ არა სოფლათ, და აი, ეს არის მიზეზი, რომ ჩვენი სოფლის მასა ღრმად ბნელში ზის.

სასურველია, რომ ჩვენი სტუდენტობა თავის საუკეთესო დროს (ვიდრე სამსახურში არ შესულა) გაჭირვებული სოფლის ჭირ-ვარამს მოახმარდეს.

მ. ფარცხნალელი.

## ღია ბარათი.

**გაზეთ „შრომის“ რედაქციას.**

ამ ორი კვირის წინათ მე თქვენ რედაქციაში ერთი უბრალო წერილი შემოვიტანე და მისი დაბეჭდვა გთხოვეთ. ამ წერილს სათაურათ „მცირე შენიშვნა“ ჰქონდა და ხელ მოწერილი იყო ჩემი ფსევდონიმით. აღნიშნული წერილი „შრომის“ უკანასკნელ ნუმერში დაიბეჭდა, მაგრამ რედაქციამ ჩემი ფსევდონიმი გამოცვლილა ჩემდა დაუკითხავათ და წერილი სხვა ფსევდონიმით დასტამბა. მე მწამს, რომ რედაქციას უფლება აქვს წერილები შეასწოროს, შეამოკლოს ან სულ არ დაბეჭდოს, მაგრამ არსად არ გამიგონია, რომ უფლება ჰქონდეს—ფსევდონიმები შესცვალოს. ამიტომ უმორჩილესათ ვსთხოვ „შრომის“ რედაქციას განმიმარტოს თავისი, ჩემის ფიქრით, არა საკადრისი საქციელი, რა საფუძვლითა და მოსაზრებით ჩაიდინა.

მ. ფარცხნალელი.

## პასუხი მებალე ვასილ ჯაფარიძეს.

„აზრის“ მეექვსე ნომერში დასტამბულია ღია ბარათი, რომლითაც მითხოვთ სამედიატორო სამართალში, თითქოს თქვენზე რაღაც ხმები გამევრცელებინოს და ვადათ ათი დღე დაგინიშნავთ დღიდან ბარათის დაბეჭდვისა.

ეს ღია ბარათი დაბეჭდილია 27 ივლისს, მაშინ, როცა მე ქუთაისში აღარ ვიყავი, წასული ვიყავი საზაფხულოთ სოფელში, სადაც მე გაზეთ „აზრის“ ნომრები არ მოდის, ეს გარემოება თქვენც კარგათ იცოდით. თქვენი წერილი წავიკითხე მხოლოდ 22 ამა მარიობისთვეს. აი, მიზეზი ამ პასუხის დაგვიანებისა.

თუ არ მიაქცევთ ყურადღებას ათი დღის ვადის გაშვებას, მზათა ვარ გამოგყვე სამედიატორო სამართალში რა წესით და რა პირობითაც გნებავს, გინდ საამხანაგო სუდში, თუ კი მოგეპოება ამხანაგი. შეგიძლიათ დაასახელოთ მედიატორები, თუმცა თქვენ ღია ბარათშიც შეგეძლოთ მათი დასახელება და მეც ნება მექნება ამოვირჩიო—უნდა ამოვირჩიოთ ორ-ორი კაცი, ხოლო მეხუთე თვითონ აირჩიონ.

ჩვენ რომ ერთიმეორეს გაზეთის საშუალებით ვებაასოთ, ამის ბეჭდვის დრო არც გაზეთს ექნება, და მკითხველებსაც თავს მოვაბეზრებთ, ამისათვის დანიშნეთ მედიატორები, შემატყობინეთ კერძოთ, დავნიშნავ მეც და მერე მათი დადგენილებანი გამოქვეყნდეს გაზეთებში. თუ ისარგებლებთ იმითი, რომ მე ათი დღის ვადა გავუშვი და აღარ გამომყვებით სამართალში, მაშინ მე უფლება მექნება ყოველივე შენი საქმენი საგმირონი გამოვაქვეყნო გაზეთის საშუალებით.

თომა ს. მაჭავარიანი.

## „იმერეთის ფოსტა“.

**აქ, ქუთაისში. თ. მ.—ა—ს.** თქვენი ლექსი „მეფე ერეკლეს“ არ დაიბეჭდება. გთხოვთ შემოიაროთ რედაქციაში მოსალაპარაკებლად, ან თქვენი ადრესი გვაცნობეთ.

**დ. ჩხარი. ბ-ნ კონსტანტინე ჩუბაშვილს.** თქვენი წერილი „პასუხათ ბ-ნ ძერულის-პირელს“ არ დაიბეჭდება, რადგანაც კერძო ხასიათისა არის. თავის თავსა და თავის გასასყიდ საქონელზე ცუდს ვინ იტყვის?..

*) რედაქცია ამ დღეებში გამოსთქვამს თავის აზრს საზოგადოთ ქალაქის არჩევნების შესახებ.

რედაქტორ-გამომცემელი ბ. ჯაიანი.





ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „იმერეთი“

ახალის რედაქციით და თანამშრომლებით.

ხელის მოწერა მიიღება 1914 წლისათვის

**გაზეთის ფასი:**

| | |
|---|---|
| ერთი წლით | 7 მანეთი. |
| ნახევარი წლით | 4 მანეთი. |
| ერთი თვით | 4 აბაზი. |
| და ცალკე ნუმრის | 1 შაური. |

წლიური დასაკვეთი გაზეთის ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ეკენისთვესაც—ორი მანეთი. საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 15 მ. 1/2 წ.—8 მ., თვიურათ 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთი ეთმობათ წლიურათ 6 მ., ნახევარი წლით 3 მანეთად და თვიურათ 3 აბაზათ.

**ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით** редакція „ИМЕРЕТИ“

რედაქცია უმორჩილესათ სთხოვს თავის კორესპონდენტებს კორესპონდენციები სწერონ ქაღალდის ცალ გვერდზე, გარკვევით და გაურკვევლად ნაწერი წერილები განუხილავი დარჩება. წვრილმან წერილების გამო რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არა კისრულობს.

## ახალი უვნებელი საშუალება რძე პირისახისათვის „ბეტტი“

**ფარმ. ს. ს. ნადარეიშვილის.**

**არბილებს და ასუფთავებს სახეს: სპობს სრულებით**

ფერმჭამლებს, გადაყავს ნამზეური და ასწორებს პირის ნაოჭებს. ვურჩევ აგრეთვე მამაკაცებს, ვინც პირს ხშირათ იპარსავს და ექერცლებათ სახე. ეოითხოვეთ ყველა აფთიაქში და აფთიაქის მაღაზიაში. უმთავრესი საწყობი ქ. თფილისში ლიბიხის აფთიაქი ს. ს. ნადარეიშვილი. განყოფილება ქუთაისში, აფთიაქის საწყობი ლ. კოკოჩევი. ფასი ერთი მანეთი. აფთიაქებსა და აფთიაქის მაღაზიებს სალავათი.

15—3

## თუთხმეტ მაისიდან გაიხსნა კურსების მადნეული წყლის აბანო.

რომელიც იმყოფება გელათის სადგურის მახლობლათ, სადაც პლატფორმაა არჯევანიძის მატარებლების გასაჩერებლათ. პლატფორმიდან ას ორმოცდა ათი საჟენია აბანომდი. ქუთაისიდან მოითხოვეთ ბილეთი არჯევანიძესთან. ბილეთი პლატფორმამდი მესამე კლასის 23 კაპ. და მეორეში 7 შაური ღირს.

ზემოხსენებული **კ უ რ ს ე ბ ი ს ა ბ ა ნ ო** იმყოფება მშვენიერ ბუნებით შემკულ მაღალ ადგილზე, და როგორც ნამდვილ გამოკვლეულია კურნავს მრავალს სხვადასხვა ავათმყოფობას, როგორც მაგ., ქარებს (რევმატიზმის), ტანზე დაყრილ მუწუკებს, ნერვების სისუსტეს, ბავშების საყმაწვილოს, გიმაროი,—სიყვითლეს და ვენერიულ ავათმყოფობას. აგრეთვე რგებს სასმელათ კუჭის ტკივილს. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. არის სუფთა მოწყობილი ვანები, მასთან სუფთა საცხოვრებელი ოთახები და სასმელ-საჭმელი ძრიელ ზომიერ ფასებში.

პატივისცემით **გ. მ. არჯევანიძე.**

## მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ყორყოლაძეების სამკურნალო აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას; **ქარებს (რევმატიზმს)** სხვადასხვაგვარ **მუწუკს, საყმაწვილოებს ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარეიას) კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა.** წყალი მიიღება ცივი და თფილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი **ექიმი**, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის, არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა, და სასმელ საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს **სადგურ „სერნია ვოდში“ ხრესილში** სტანციაა მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“.

## ქუთაისში.

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

**საბუღალტერო კურსები**

## გ. გ. გიგინეიშვილისა

კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით ანუ შესაფერი გამოცდის შემდეგ რუსულსა და ანგარიში.

კურსი ათ თვიანია. სწავლის ფული ასი მან. სწავლა კურსებზე იწყება 15 ეკენისთვიდან. თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში. (თფილისის ქუჩა).

კურსების გამგე: გ. გ. გიგინეიშვილი.


სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა, სახლი გოკიელოვის.